ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

13 ივნისი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 109 (10 522) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული [illegible]

თუ ძლიერი ხარ, არავინ დაგივიწყებს

ეს ცნობა გუშინ მოგვაწოდა საქართველოს სპორტის დეპარტამენტიდან ლაშა მეავანაძემ.

ნებისმიერი ღია პირველობის ავტორიტეტი მონაწილეთა შემადგენლობის სიძლიერით ფასობს. ყველა ცდილობს მიიწვიოს უძლიერესი სპორტსმენები და ამით აამაღლოს ტურნირის ავტორიტეტი. ჩვენი მშვილდოსნების ახლანდელი თაობის შესაძლებლობები მთელს მსოფლიოშია ცნობილი და რა გასაკვირია, თუ მათ, როგორც რჩეულებს, სხვადასხვა შეჯიბრებებზე იწვევენ — ოღონდ საქართველოს სახელით.

ერთი ასეთი ასპარეზობა — სრულიად რუსეთის ღია ტურნირი ესესაა დასრულდა [illegible] ჩვენ შესანიშნავ „მოისარს“ ნატო ნასარიძეს არც აქ ყავდა ბადალი — იგი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ქართველმა გოგონებმა გუნდურ შეჯიბრებაში დაიკავეს მესამე ადგილი (ნასარიძე, მარინე მეგრელიშვილი). მესამე პრიზიორი გახდა ვაჟთა გუნდიც (დავით ლეკვეიშვილი, სერგეი გათიკაევი). გათიკაევი პირად პირველობაში მეოთხე იყო. ნაკრების უფროსი მწვრთნელია ვლადიმერ ლეკვეიშვილი.

ს უ რ ა თ ზ ე: ნატო ნასარიძე.

გაზეთ „ლელოს“ რედაქტორს

7 ივნისს თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა რეპლიკა „ვისია ლელა მესხი“? მსურს გაზეთის მკითხველებს და სპორტულ საზოგადოებრიობას ვაცნობო შემდეგი.

ბატონი ზურაბ ნეფარიძე 5 ივნისის „იზვესტიაში“ წააწყდა ინფორმაციას თითქოს მე ისევ საკავშირო სპორტსახკომის სახელით ვმონაწილეობ საერთაშორისო ტურნირებში. მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ გასული წლის დასასრულიდან მე ურთიერთობა გავწყვიტე საკავშირო სპორტსახკომთან, კერძოდ „სოვინტერსპორტთან“. ამის შემდეგ ორივე მხარისათვის ხელსაყრელი პირობებით გაფორმდა კონტრაქტი ჩემს მშობლიურ სპორტსაზოგადოება „შევარდენთან“. 1991 წლიდან ყველა საერთაშორისო ტურნირებზე, მათ შორის, ამასწინათ საფრანგეთის ღია პირველობაზე, გამოვედი მხოლოდ საქართველოს სახელით.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენას ჯერჯერობით სამწუხაროდ საერთაშორისო მასშტაბით ოფიციალური აღიარება არ მოჰყოლია. ჩვენ ყველას გვჯერა, რომ ეს ახლო მომავლის საქმეა.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მასალებს მიაწვდის რუსული, საბჭოური პრესა თავის მკითხველს, აქ სიურპრიზები მათი მხრიდან ყოველდღეა მოსალოდნელი.

გახსოვთ, მოსკოვის ოფიციალურ დოკუმენტებში რამდენ ხანს ფიგურირებდა რესპუბლიკის პარლამენტის მიერ უარყოფილი საქართველოს სსრ?

დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვ კიდევ ერთხელ წაიკითხოს წლეულს, 13 მარტის გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებული ჩემი ინტერვიუ სათაურით „... და არასოდეს მივატოვებ, ანუ შამპანიური კი მოიცდის“, სადაც შევეცადე გამომეკვეთა ჩემი პოზიცია.

პატივისცემით
ლელა მესხი

17-23 ივნისს ტარდება ოლიმპიური კვირეული. კვირეული საქართველოში წელს მეორედ მოეწყობა.

კვირეულს ატარებს მსოფლიოს ყველა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ჩვენც ჩაბმული ვართ ამ მოძრაობაში. კვირეულის პროგრამა ყველგან შეირჩევა შესაძლებლობების გათვალისწინებით. კვირეული ოლიმპიური მოძრაობის ზეიმად უნდა იქცეს საქართველოში.

ტურნირები და შედეგები

რომი. პროფესიონალთა პოპულარული ველორბოლა „ჯირო დ' იტალია“ ნელ-ნელა უახლოვდება ფინიშს. და ყველასათვის მოულოდნელად, ფრანკო კიოჩოლი, რომელსაც არავინ თვლიდა ფავორიტად, არ თმობს ლიდერის მაისურს. ახლა რომ მან ლიდერობა დაკარგოს, დიდი საცოდაობა იქნება, თუმცა ასეთ მძიმე ბრძოლაში ყველაფერია მოსალოდნელი — ერთი არასწორი გადაწყვეტილება, უზუსტო ნაბიჯი და ორკვირიანი წვალება შეიძლება ფუჭი და უნაყოფო გამოდგეს.

ველოსიპედისტებს კიდევ ერთი რთული გამოცდა მეთექვსმეტე ეტაპზე ელოდათ. სტარტი — აპრიკაში, ფინიში — სელვა დი ვალ გარდენში, დისტანციის სიგრძე 218,5 კილომეტრი, რამდენიმე ურთულესი უღელტეხილი, ზოგან ყინვა, ზოგან მწველი მზე... გამარჯვებულმა ამ გეოგრაფიულ აჯაფსანდალს თავი დააღწია 6 საათსა, 5 წუთსა და 49 წამში. ეს ბედნიერი გახლდათ იტალიელი მასიმილიანო ლელი, რომელსაც წინა ეტაპებზე არაფრით გამოუჩენია თავი. ასეთივე შედეგი აღმოაჩნდა მთავარ ფავორიტს ჯანი ბუნიოს, რომელიც, ეტყობა, უფრთხილდება თავის რენომეს და, ამერიკელი გრეგ ლემონდის მსგავსად, თეთრი პირსახოცის გადმოგდებას არ აპირებს. თუმცა მას არც აქვს საამისოდ საქმე. საერთო ჩათვლაში ბუნიო პირველი ათეულის წევრია.

რბოლას კი, როგორც უკვე ვთქვით, თავკაცობს კიოჩოლი (მეთექვსმეტე ეტაპზე იგი მეოთხე იყო) — 78:43.11. მას 1.26 წუთით ჩამორჩება ესპანელი მარინო ლეხარეტა და 2,12 წუთით —იტალიელი კლაუდიო კიაპუჩი.

რაზდანი. ჰადრაკში მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ქალთა საერთაშორისო ტურნირმა ექვატორი გადალახა. მეშვიდე ტურში თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა თამარ ხმიადაშვილმა გარკვეული პოზიციური უპირატესობა მოიპოვა სომხეთის ჩემპიონ ლიუდმილა ახლანიანთან, მაგრამ ექვსსაათიან შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა და ბოლოს ყაიმს დასჯერდა. კარინ დერლიჰმა (გერმანია) მოუგო ერნა ხალაფიანს (სომხეთი). ასევე თავის სასარგებლოდ დაამთავრა ბრძოლა საერთაშორისო ოსტატმა ლიუდმილა საუნინამ (სვერდლოვსკი) ვიეტნამელ ვანგ ფამ ხონგთან შეხვედრაში. შვიდი ტურის შემდეგ ლიდერთა შორის არიან: ნარინე კარაკაშიანი (სომხეთი) — 6 ქულა, ლიდია უიკმანი (რუმინეთი) და ვანდა შაფრანსკაია (რიგა) — 5-5 ქულა, თამარ ხმიადაშვილი (თბილისი) და ლიუდმილა უმანსკაია 4,5-4,5 ქულა.

რა ისმის უცხოეთიდან?

სახელი თუ მილიონები?

ასეთი პარადოქსი შეიძლება მოხდეს მხოლოდ პროფესიულ კრივში: მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები — მაიკ ტაისონი, დონოვან რადოკი, ჯონ ფორმენი, ჯეიმს „ბასტერ“ დუგლასი სისხლსავსე, დაძაბული ცხოვრებით ცხოვრობენ (მათზე წერენ გაზეთები, სენსაციურ სიუჟეტებს გადასცემენ ტელეჟურნალისტები, იღებენ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს) იმ დროს, როცა მსოფლიო ჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდი ჩრდილშია და თავის მენეჯერთან ერთად სასამართლოში აგზავნის საჩივრებს. პროფესიულ კრივში საჩივრების, ურთიერთპრეტენზიების და სკანდალის მიზეზი შეიძლება იყოს ერთი რამ — ფული, რომელიც პრემიის სახით უნდა მიიღოს არა მარტო გამარჯვებულმა, არამედ დამარცხებულმა მოკრივემაც.

მაგრამ ფულს იხდის ხალხი, ჩვეულებრივი მაყურებელი, კრივის მოყვარული, ამიტომ ინტერესსაც ამა თუ იმ მოკრივის მიმართ იგი განსაზღვრავს. ჰოლიფილდი მსოფლიო ჩემპიონია! ეს იცის კრივის მოყვარულმა. მას ახლა აინტერესებს ის, ვინ არის უპირველესი პრეტენდენტი, მაგრამ სანამ ეს გაირკვევა, რამდენიმე მატჩი უნდა გაიმართოს სწორედ ამ პრეტენდენტთა შორის. პრეტენდენტები კი, ხალხის აზრით, უფრო საინტერესო მოკრივეები არიან, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონი.

მაიკ ტაისონს პოპულარობაში, ბუნებრივია, ვერავინ შეედრება, თვით მსოფლიო ჩემპიონიც კი. ის კი არა, ევანდერ ჰოლიფილდის პოპულარობას დღესდღეობით ჯორჯ ფორმენიც აჭარბებს. ამ ბოლო დროს საქმეში კიდევ ერთი პრეტენდენტი ჩაერია, დონოვან რადოკი, რომლის შეხვედრას ტაისონთან მოუთმენლად ელოდება კრივის სამყარო. გარდა ამისა, საინტერესო მოლაპარაკება მიმდინარეობს ტაისონსა და ფორმენს შორის. მათმა მატჩმა ინტერესით ყველა ადრე გამართულ ბრძოლას შეიძლება გადააჭარბოს... ჰოლიფილდი კი, რომელსაც ტაისონი 26 ოქტომბერს უნდა შეხვდეს, აღარავის ახსოვს.

ტაისონის მენეჯერი დონ კინგი არც თუ უსაფუძვლოდ თვლის, რომ მაიკი უფრო ცნობილი მოკრივეა, ვიდრე ჰოლიფილდი, ამიტომ მისმა ფალავანმა მომავალ ბრძოლაში საპრემიო ფონდის 40 პროცენტი მაინც უნდა მიიღოს, რაც დაახლოებით 25 მილიონ დოლარს შეადგენს. ჰოლიფილდის წარმომადგენელმა დან დუვამ ტაისონს ჯერ 15 მილიონი დოლარი შესთავაზა, მერე კი 25 პროცენტამდე (12,5 მილიონ დოლარამდე) ჩამოვიდა. კინგმა განაცხადა, რომ ასეთი „უმნიშვნელო თანხისთვის“ ტაისონი ხელს არ გაანძრევს.

ჰოლიფილდის მენეჯერი დუვა საგონებელშია ჩავარდნილი. მან იცის, რომ ტაისონმა ჯორჯ ფორმენს უკვე შესთავაზა 15 მილიონი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვით ტაისონმა ორჯერ მეტი მაინც უნდა მიიღოს. ასეთ შემთხვევაში დან დუვა და ევანდერ ჰოლიფილდი აშკარად გარიყულნი ჩანან.

სრულიად საქართველოს 1991 წლის სპორტული თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით 17 ივნისს, 14 საათზე, თბილისის ჰადრაკის სასახლეში ჩატარდება საგანგებო თათბირი, რომელზედაც რეგიონებიდან იწვევენ სპორტკომიტეტებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რეგიონალური ჯგუფების ხელმძღვანელებს.

კონტაქტები

„ყოჩები“ ამსტერდამში: წელს პირველად... გაისადაც

სრულიად უცნობი ქვეყანა, სადაც რაგბის კარგად თამაშობენ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მორაგბეთა გუნდი „ყოჩები“.

ჩვენს მორაგბეთა უმრავლესობისთვის; რომლებიც მთელი ცხოვრება „საკუთარ წვენში იხარშებიან“ და დიდ ტურნირებს და სახელოვან მოთამაშეებს მხოლოდ ვიდეოკასეტებიდან და ჟურნალებიდან იცნობენ, ამგვარ ტურნირებში მონაწილეობა და ცნობილ მორაგბეებთან შეჭიდება უდიდესი პატივია. სწორედ ასეთი პატივი ხვდა წილად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მორაგბეთა გუნდს „ყოჩებს“, რომელმაც თავისი ოცწლიანი ისტორიის მანძილზე პირველად „გააღწია“ საერთაშორისო სარბიელზე — ჰოლანდიაში იასპარეზა უმაღლესი რანგის საშვიდკაცო ტურნირში „ამსტერდამ ჰეინეკენ სევენსში“. მოგზაურობის შესახებ გვესაუბრება გუნდის უფროსი მწვრთნელი ლაშა გეგენავა.

— რაგბის მოყვარულებს ემახსოვრებათ, რომ შარშან ჩვენმა გუნდმა უმასპინძლა ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტის უნივერსიტეტის მორაგბეებს. ამჯერად ჰოლანდიელებმა მიგვიწვიეს საპასუხო ვიზიტით და თან ჩვენი ჩასვლა დაამთხვიეს დიდ საშვიდკაცო ტურნირს, რომელშიც მონაწილეობისთვის რეკომენდაციაც გაგვიწიეს და ჩვენს მაგივრად საკმაოდ სოლიდური შესატანი თანხაც გადაიხადეს.

სანამ „ამსტერდამ-ჰეინეკენ სევენსში“ ვითამაშებდით, მონაწილეობა მივიღეთ უტრეხტში გამართულ მცირე საშვიდკაცო ტურნირში, სადაც ორი გუნდი გამოვიყვანეთ. ჩვენმა პირველმა გუნდმა დაამარცხა პრალის და უტრეხტის უნივერსიტეტების ნაკრებები, ფინალში სძლია მადრიდელებს და პირველი ადგილიც დაიკავა.

მეორე დღეს ჩვენს მასპინძლებს, უტრეხტის უნივერსიტეტის ნაკრებს ვეთამაშეთ „რაგბი-15“ და დაძაბული ბრძოლის შემდეგ გავიმარჯვეთ — 26:21.

შემდეგ ამსტერდამში გავემგზავრეთ. ორიოდ სიტყვა „ამსტერდამ-ჰეინეკენ სევენსზე“: ტურნირის სპონსორია ცნობილი ლუდის მწარმოებელი ფირმა „ჰეინეკენი“ და იგი უმაღლეს კატეგორიას განეკუთვნება. არაოფიციალურად მას შვიდკაცაში ევროპის პირველობის სტატუსი აქვს მინიჭებული. სხვადასხვა დროს აქ უასპარეზიათ მსოფლიო რაგბის აღიარებულ ვარსკვლავებს და წლეულსაც, გამარჯვებული გუნდის, ინგლისის „ვაით ჰართ მარუდერზის“ შემადგენლობაში უილ ქირლინგი, ფიტერ კონთერბოთომი, ჯერემი გასქოთი, მიკი

იხ. მე-3 გვ.

ამაზე უკეთესს რას გავაკეთებთ...

მოგეხსენებათ, სპორტში მარტოოდენ ენთუზიაზმით შორს ვერ წახვალ, მით უმეტეს, ფეხბურთში. თავის მოტყუებაა, როცა გუნდს საზოგადოებრივ საწყისებზე ჰყავს პრეზიდენტი, გუნდის უფროსი თუ მწვრთნელი. ასეთმა მიდგომამ არაერთი პერსპექტიული კოლექტივისა და სპორტსმენის ზრდა-განვითარება შეაფერხა.

ზუგდიდის „შევარდენს“ ძლიერ დაეტყო ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობა. გუნდი წლების განმავლობაში უღიმღამოდ ასპარეზობდა, სპორტსმენის აღზრდაზე არავინ ფიქრობდა. საქმე სასიკეთოდ მაშინ შემოტრიალდა, როცა კლუბის პრეზიდენტად ყოფილი ფეხბურთელი რევაზ პერტია აირჩიეს, მწვრთნელად კი გურამ ფიფია დაინიშნა. მათი ხელმძღვანელობით დაირაზმა კლუბის ყველა წევრი, შეიქმნა განახლებული, პერსპექტიული კოლექტივი. თუმცა თავიდან მთავარი პრობლემა — ხელმოკლეობა — გადაუჭრელი დარჩა. საბედნიეროდ, ესეც მოგვარდა — ზუგდიდის ჩაის გადამწონი ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ალექსანდრე შეროზია) იკისრა სპონსორობა.

აი, რა გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა რევაზ პერტიამ: „სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ შაქრო ჩანგელიას თხოვნით სათავეში ჩავუდექი კლუბს. იგი რომ არა, გუნდი აქამდე დაიშლებოდა. დღესაც თავს დაგვტრიალებს. მატერიალურად მეტად გვიჭირდა, ვის არ მივმართეთ, რა არ ვილონეთ, მაგრამ უშედეგოდ — დახმარების ხელი არავინ გამოგვიწოდა. ჩვენი გასაჭირი ბატონმა ალექსანდრე შეროზიამაც გაიგო და დაუყოვნებლივ იკისრა ჩვენი სპონსორობა.

ახლა თავად ალექსანდრე შეროზიას მოვუსმინოთ: „სულ შვიდი თვეა, რაც ამ კლუბს ამოვუდექით მხარში. თავიდანვე გეტყვით — ეკონომიკურად არ გვიჭირს. არა, გადასაყრელი ფული ვისა აქვს, ათასი პრობლემაა გადასაჭრელი, მაგრამ

ჩვენმა კოლექტივმა გულთან ახლოს მიიტანა „შევარდენის“ გასაჭირი. მატერიალური დახმარების გარდა, სხვაგვარადაც შევუწყობთ ხელს: დავუთმობთ ჩვენ სპორტულ ბაზებს — საცურაო აუზს თავისი საუნით, ღია მოედნებს, ჩოგბურთის დარბაზს. ყოველივე ეს ადრე გამოკეტილი იყო, არავის უშვებდნენ იქ, მუშები ვერ სარგებლობდნენ მათი სიკეთით. ფიზკულტურის მეთოდისტიც კი არ ჰყავდა 350-კაციან კოლექტივს. არადა, მრავლად გვყავს სპორტის სხვადასხვა სახეობის მოყვარულები. სპორტკლუბ „შევარდენს“ იმიტომ აღვუთქვით დახმარება, იმიტომ გადავეცით ბაზები, რომ თავადაც ისარგებლონ და ჩვენც გვასარგებლონ — მოიყვანონ ცურვისა და სპორტის სხვა სახეობათა სპეციალისტები, აამოძრაონ ახალგაზრდობა, მოიზიდონ სკოლის მოსწავლეებიც, ასწავლონ ცურვა, ავარჯიშონ. ამაზე უკეთესს რას გავაკეთებთ...

სპონსორსა და სპორტკლუბ „შევარდენს“ შორის ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულება. ფაბრიკა კლუბისთვის აუცილებელ ყველა ხარჯს გაიღებს, გუნდის ხელმძღვანელობა კი ვალდებულია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა გააჩაღოს შრომით კოლექტივში. „შევარდენი“ საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფის „დ“ ზონაში გამოდის და ერთპიროვნული ლიდერია, შარშან კი მეთერთმეტე ადგილზე ძლივს გავიდა. კლუბის განკარგულებაშია ზედაეწერის სტადიონი, რომელიც იჯარით აიღეს. კლუბის წევრებმა ეს მოედანი თავადვე მოაწესრიგეს და სათამაშოდ ვარგისი გახადეს. გაიხსნა მრავალდარგოვანი კოოპერატივიც, რომელიც მოგების ნაწილს კლუბს ურიცხავს.

კლუბის ხელმძღვანელებმა და მათმა თანამდგომებმა საინტერესო სამომავლო გეგმებიც დაისახეს. მათ სურთ ნორჩებიც შეაჩვიონ სპორტს და არამარტო ფეხბურთს. ზოგიერთმა სექციამ კი უკვე დაიწყო მუშაობა.

რაც მთავარია, ყველამ კარგად იცის: ნდობა-დახმარებას გარჯით უნდა გამართლება!

ნუგზარ ჟვანია,
„ლელოს“ საკ. კორ.

სურათზე: ალექსანდრე შეროზია.

ავტორის ფოტო.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ცხენოსნობა. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი, ფოთი.

„გახსნის პრიზი“. ახალგაზრდა ცხენებისათვის: 1. ზაზა გონჯილაშვილი (ცხენი კოლტი) — თბილისი, საცხენოსნო ბაზა, 2. ოთარ კოტუა (ლიფარტი) — ოჩამჩირე, 3. რონ მარგიანი (სადახლო) — თბილისი, განათლების სკოლა. **უფროსი ასაკის ცხენებისათვის:** 1. ოთარ ჯაფარიძე (ობრუჩი) — ზუგდიდი, 2. დავით ქურუბერია (რაპორტი) — ოჩამჩირე, 3. ხვიჩა ტუსიშვილი (ქსარი) — თბილისი, საცხენოსნო ბაზა.

ორჭიდი. ახალგაზრდა ცხენებისათვის: 1. ვიქტორ გოგლიძე (ფოცხვერი) — თბილისი, განათლების სკოლა, 2. იგორ ტრუშკინი (ფრეგტი) — გულრიფში, 3. დავით მალრაძე (ბეგლეცი) — თბილისი, საცხენოსნო ბაზა. **გუნდური:** 1. თბილისის განათლების სკოლა, 2. გულრიფში. სხვა გუნდებმა ჩათვლა ვერ მიიღეს. **უფროსი ასაკის ცხენებისათვის:** 1. ივანე ყურუა (დრაგუნი) — თბილისი, საცხენოსნო ბაზა, 2. ოთარ ნარმანია (პოდოლსკი) — ოჩამჩირე, 3. ზურაბ ჭინჭარაძე (ტიგრი) — თბილისი, საცხენოსნო ბაზა. **გუნდური:** 1. თბილისის საცხენოსნო ბაზა, 2. ოჩამჩირე, 3. ზუგდიდი. **„ამანათის გადაცემა“. გუნდური:** 1. ოჩამჩირე (სამუშია, კოტუა, ქურუბერია), 2. თბილისის საცხენოსნო ბაზა, 3. ზუგდიდი. **ცხენის გაწვრთნა. საშუალო პრიზი № 2:** 1. ოქსანა მისკელი (ასკეტი) — ფოთი, ქუთაისი, 2. ირინა კოზინა (ეკერისი) — თბილისი, საცხენოსნო ბაზა, 3. ოთარ ქვაჩახია (შიბკი) — ოჩამჩირე; **დიდი პრიზი:** 1. კოზინა, 2. მისკელი, 3. ქვაჩახია (სამივე იგივე ცხენებით ასპარეზობდა).

დაბრკოლებათა გადალახვა. „საქართველოს თასი“. ახალგაზრდა ცხენებისათვის (ორგიტად): 1. მარგიანი, 2. გონჯილაშვილი, 3. კოტუა, (იგივე ცხენებით). **გუნდური:** 1. თბილისი, 2. ოჩამჩირე. სხვა გუნდებმა ჩათვლა ვერ მიიღეს. **უფროსი ასაკის ცხენებისათვის (ორგიტად):** 1. მამიკ შონია (ზაეზდჩიკი) — ზუგდიდი, 2. ქურუბერია (იგივე ცხენით) — ოჩამჩირე, 3. ტუსიშვილი (იგივე ცხენით). **გუნდური:** 1. ოჩამჩირე, 2. ზუგდიდი, 3. თბილისი.

საერთო გუნდური პირველობა: 1. თბილისის საცხენოსნო ბაზა — 637,5 ქულა, 2. ოჩამჩირე — 576,5 3. ზუგდიდი — 412. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ და შესაბამისად IV-VII ადგილებზე გავიდნენ განათლების სპორტსკოლის, გულრიფშის, ფოთის და ქუთაისის გუნდები.

თინათინ ქერაშვილი

ტფილისის გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი“

ტფილისის გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი“ („შევარდენი“) დაარსა გიმნასტიკის მოყვარულთა წრემ 1898 წელს. „სოკოლის“ საზოგადოებათა შორის რუსეთში ეს საზოგადოება ყველაზე ადრე დაარსდა.

როგორც ვიცით, ამგვარი საზოგადოებანი ძალიან არის გავრცელებული საზღვარგარეთ, განსაკუთრებით, ავსტრიის პატარა ერებში. პირველად ჩეხიამ შემოიღო ამ გვარი საზოგადოება. ეხლა იქ ქალაქი და სოფელი არ არის, რომ „სოკოლის“ საზოგადოება არ არსებობდეს. დღეს ჩეხიაში ასი ათასობით არის ჩაწერილი ქალი და კაცი „სოკოლის“ საზოგადოებაში. ჩეხიაში ამ საზოგადოებებს გიმნასტიკის გარდა, სხვა დანიშნულებაც აქვთ, ჩეხის დღეს ამ საზოგადოებების წყალობით მშვენივრად გაწვრთნილი რაზმები ჰყავს... საზოგადოების წევრნი მალ-მალ იკრიბებიან და ვარჯიშობენ. წელიწადში ერთხელ იმართება სრულიად ჩეხიის „სოკოლის“ საზოგადოებათა ვარჯიშობა. ნამდვილი დღესასწაულია ხოლმე ამ დროს. მთელი ჩეხია იკრიბება. დიდ-ძალი საზოგადოება მოდის საზღვარგარეთიდანაც.

ჩეხიის მაგალითს სხვა წვრილმა ერებმაც მიჰბაძეს და დღეს ავსტრიაში არ არის ერი, რომლის ქალაქ-დაბა-სოფლები ამ გვარ საზოგადოებებით არ იყოს მოფენილი.

რუსეთში სულ ბოლო დროს, შეუდგნენ „სოკოლის“ საზოგადოებების დაარსებას, როგორც ზემოდა ვსთქვით, ტფილისის საზოგადოება ამ მხრივ პირველია. წინად მთავრობაც ხელს უშლიდა და „სოკოლის“ საზოგადოების დაარსების ნებას არ აძლევდა.

ტფილისის „სოკოლის“ საზოგადოებაში დღეს ითვლება 185 ნამდვილი წევრი და 25 გარეშე მოსიარულე. ქალთა წრეში 50-ზე მეტი მონაწილეა. გიმნასტიური მეცადინეობა არის კაცებისათვის კვირაში სამჯერ, ხოლო ქალებისათვის — ორჯერ, ვაჟთა პირველი გიმნაზიის გიმნასტიურ დარბაზში. გიმნასტიკა „სოკოლის“ სისტემაზე სწარმოებს, როგორც მიღებულია ჩეხიაში, საგიმნასტიკო ტანისამოსიც იქაური აქვს მიღებული. საზოგადოებას თავისი ინვენტარი აქვს 700 მანეთად ღირებული. წლიური საწევრო გადასახადი 6 მანეთია.

ეროვნებით საზოგადოების წევრები ასე გაიყოფიან: 100 რუსი და პოლონელია, 32 ქართველი, 14 სომეხი, 9 ჩეხი, 6 ებრაელი, 5 ფრანგი, დანარჩენები სხვა ეროვნებისა. საზოგადოებაში წევრები, ერთმანეთს შენობით ელაპარაკებიან — ასეთი წესია მიღებული, მისალმების დროს საზოგადოების წევრები ერთმანეთს ეუბნებიან „ნაზდარს“, რაც ნიშნავს „გამარჯვებას“.

საზოგადოების უმთავრეს ხელმძღვანელებად ითვლებიან: ლუკეში, იგნატოვი, ვახეკი, პერეკრესტოვი, ლორენცენი, ელზენგერი და ბახუტოვი. მათ ჰყავთ რვა თანაშემწე.

როგორც ვიცით, „სოკოლების“ საზოგადოება ამას წინად ქუთაისშიაც დაარსდა.

გაზ. „დროება“, (სურათებიანი დამატება), 1910 წ. № 5.

მოგვაწოდა ხულიკო ნეცუბიძე.

ერთად დავაზუსტოთ, ერთად შევქმნათ სრულყოფილი მატიანე

კალათბურთი

ზურაბ საკანდელიძე (დ. 1945). ოლიმპიური თამაშების (1972) ჩემპიონი და მესამე (1968) პრიზიორი. მსოფლიოს (1967) ჩემპიონი. ევროპის ოთხგზის (1965, 1967, 1969, 1971) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატის (1970) მესამე პრიზიორი.

მიხეილ კორკია (დ. 1948). ოლიმპიური თამაშების (1972) ჩემპიონი. ევროპის (1971) ჩემპიონი. საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის (1975, 1977) მფლობელი.

ნიკოლოზ დერიუგინი (დ. 1959). მსოფლიოს (1982) ჩემპიონი. ოლიმპიური თამაშების (1980) მესამე პრიზიორი. ევროპის (1981) ჩემპიონი.

ოთარ კორკია (დ. 1923). ოლიმპიური თამაშების (1952) მეორე პრიზიორი. ევროპის სამგზის (1947, 1951, 1953) ჩემპიონი და მესამე პრიზიორი (1955).

ნოდარ ჯორჯიკია (დ. 1921). ოლიმპიური თამაშების (1952) მეორე პრიზიორი. ევროპის (1947) ჩემპიონი.

გურამ მინაშვილი (დ. 1936). ოლიმპიური თამაშების (1960) მეორე პრიზიორი. მსოფლიო ჩემპიონატის (1973) მესამე პრიზიორი. ევროპის სამგზის (1957, 1959, 1963) ჩემპიონი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962).

ვლადიმერ უგრეხელიძე (დ. 1939). ოლიმპიურ თამაშების (1960) მეორე პრიზიორი. ევროპის (1961) ჩემპიონი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962).

ლევან მოსეშვილი (დ. 1940). ოლიმპიური თამაშების (1964) მეორე პრიზიორი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962).

სერგეი კოვალენკო (დ. 1948). ოლიმპიურ თამაშების (1968) მესამე პრიზიორი. ევროპის ჩემპიონი (1969).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

გივი კარტოზია (დ. 1929). ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1956) და მესამე პრიზიორი (1960). სამგზის (1953, 1955, 1958) მსოფლიო ჩემპიონი. მსოფლიო თასის (1956) მფლობელი.

რომან რურუა (დ. 1942). ოლიმპიური ჩემპიონი (1968) და მეორე პრიზიორი (1964). მსოფლიოს ოთხგზის (1966, 1967, 1969, 1970) ჩემპიონი.

ვახტანგ ბლაგიძე (დ. 1954). ოლიმპიური ჩემპიონი (1980). მსოფლიოს ორგზის (1978, 1981) ჩემპიონი. ევროპის ორგზის (1978, 1980) ჩემპიონი. მსოფლიო თასის (1982) მფლობელი.

როსტომ აბაშიძე (დ. 1935). მსოფლიოს სამგზის (1958, 1962, 1963) ჩემპიონი.

ავთანდილ ქორიძე (1935-1966). ოლიმპიური ჩემპიონი (1960). მსოფლიო ჩემპიონი (1961).

მიხეილ სალაძე (დ. 1954). მსოფლიოს ჩემპიონი (1981). მსოფლიოს (1981) და ევროპის თასების (1987) მფლობელი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის (1973) მფლობელი.

თეიმურაზ ყაზარაშვილი (დ. 1959). მსოფლიო ჩემპიონი (1982). მსოფლიო თასის (1980) მფლობელი. ევროპის ორგზის (1983, 1984) ჩემპიონი.

თეიმურაზ აფხაზავა (დ. 1955). მსოფლიოს სამგზის (1982, 1983, 1984) ჩემპიონი, მსოფლიო თასის ორგზის (1985, 1986) მფლობელი. ევროპის ორგზის (1983, 1984) ჩემპიონი.

გურამ გედეხაური (დ. 1963). მსოფლიოს ჩემპიონი (1987). მსოფლიო თასის (1987) მფლობელი.

შოთა მორჩილაძე (დ. 1950). ევროპის (1974) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატების მეორე (1974) და მესამე (1973) პრიზიორი.

რომან ძნელაძე (1932-1966). ოლიმპიური თამაშების (1956) მესამე პრიზიორი.

ზაურ ივანიშვილი (დ. 1965). მსოფლიო თასის ორგზის (1987, 1990) მფლობელი.

დავით გვანცელაძე. ოლიმპიური თამაშების (1964) მესამე პრიზიორი. მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. (1963).

მშვილდოსნობა

ქეთევან ლოსაბერიძე (დ. 1949). ოლიმპიური ჩემპიონი (1980). მსოფლიო ორგზის (1973, 1981) ჩემპიონი. ევროპის ხუთგზის (1972, 1978, 1980) ჩემპიონი.

მძლეოსნობა

ვიქტორ სანეევი (დ. 1945). ოლიმპიური თამაშების სამგზის (1968, 1972, 1976) ჩემპიონი და მეორე პრიზიორი (1980). ევროპის ცხრაგზის (1969, 1970, 1971, 1972, 1974, 1975, 1976, 1977) ჩემპიონი. ევროპის თასის სამგზის მფლობელი (1967, 1973, 1975).

რობერტ შავლაყაძე (დ. 1933) ოლიმპიური ჩემპიონი (1960). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1962).

ნინო დუმბაძე (1919-1983). მსოფლიოს შვიდგზის (1939, 1944, 1946, 1948, 1951, 1952) რეკორდსმენი. ოლიმპიური თამაშების (1952) მესამე პრიზიორი. ევროპის ორგზის (1946, 1950) ჩემპიონი.

საიდა გუნბა (დ. 1959). ოლიმპიური თამაშების (1980) მეორე პრიზიორი.

ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი (დ. 1933). ოლიმპიური თამაშების ორგზის (1956, 1960) მესამე პრიზიორი.

ლევან სანაძე (დ. 1928). ევროპის (1951) ჩემპიონი. ოლიმპიური თამაშების (1952) მეორე პრიზიორი.

მაია აზარაშვილი (დ. 1964). ოლიმპიურ თამაშების (1988) მესამე პრიზიორი.

მხატვრული ტანვარჯიში

ირინე გაბაშვილი (დ. 1960). მსოფლიოს ჩემპიონი (1979). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1979).

დალი დოლიძე (დ. 1958). მსოფლიოს ჩემპიონი (1979).

ელისო ბედოშვილი (დ. 1973). მსოფლიო თასის ორგზის (1990) მფლობელი.

ნიჩბოსნობა

ვიქტორ კრატასიუკი (დ. 1949). ოლიმპიური ჩემპიონი (1972).

სამბო

გენადი ბიორბაძე (დ. 1948). მსოფლიო ჩემპიონი (1973).

იოსებ მალალაშვილი (დ. 1952). მსოფლიოს ჩემპიონი (1974). მსოფლიო ჩემპიონატის (1975) მეორე პრიზიორი. მსოფლიო თასის (1977) მფლობელი.

ჯემალ მჭედლიშვილი (დ. 1962). ორგზის (1987, 1989) მსოფლიო ჩემპიონი. ევროპის ორგზის (1987, 1989) ჩემპიონი.

სერგეი ტერნოვიხი (დ. 1960). მსოფლიო ორგზის (1984, 1985) ჩემპიონი.

სოსო როსტიაშვილი (დ. 1959). მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანთა შორის (1983). მსოფლიო თასის (1981) მფლობელი.

მალხაზ ბერუაშვილი (დ. 1961). მსოფლიო ჩემპიონი (1990).

ნოდარ მანველიშვილი (დ. 1954). მსოფლიო თასის (1982) მფლობელი.

ტყვიის სროლა

ნინო სალუქვაძე (დ. 1969). ოლიმპიური ჩემპიონი და მეორე პრიზიორი (1988). მსოფლიოს ხუთგზის (1986, 1987, 1989, 1990) ჩემპიონი. მსოფლიო თასის რვაგზის (1987, 1989, 1990) მფლობელი. ევროპის ექვსგზის (1987, 1988, 1989, 1990) ჩემპიონი.

შოთა ქველიაშვილი (დ. 1938). ოლიმპიური თამაშების (1964) მეორე პრიზიორი. ევროპის სამგზის (1959, 1969) ჩემპიონი და მეორე პრიზიორი (1969).

კონსტანტინე კოსმინინი (დ. 1959). ევროპის ორგზის (1981, 1982) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატის (1982) მესამე პრიზიორი. ევროპის ჩემპიონატის მეორე (1981) და მესამე (1982) პრიზიორი.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“ № 108.

შენიშვნები გთხოვთ მოგვაწოდოთ.

„ყოჩები" ამსტერდამში: წელს პირველად... გაისადაც

(დასასრული)

სქინერი, ქრის ოთი და ბრაიან მური თამაშობდნენ. რაგბიში ჩახედულმა ხალხმა იცის, რომ ისინი „ხუთი ერის პირველობის" წლევანდელი გათამაშების ჩემპიონის, ინგლისის ეროვნული ნაკრების საუკეთესო მოთამაშეები არიან. გარდა ამისა, სხვა გუნდებში უელსის, ჰოლანდიის და ახალი ზელანდიის ნაკრებთა წევრები გამოდიოდნენ. ვგონებ, ეს ფაქტები სავსებით ცხადყოფენ ტურნირის პრესტიჟსა და სიძლიერეს.

60 გუნდი 12 ქვეჯგუფად დაყვეს. ჩვენ „სუსტად" მიგვიჩნიეს. თავდაპირველად, პროგრამა-მაქსიმუმად ქვეჯგუფში მესამე ადგილის დაკავება დავისახეთ, რათა გაისადაც მივეწვიეთ ორგანიზატორებს, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჩვენ ცალკე გავვოცდით და ტურნირის ორგანიზატორები ცალკე.

პირველი მატჩი ინგლისის „დორსეთ ფარმერზთან" გავმართეთ. ძალიან კარგად ვითამაშეთ, მოულოდნელობისაგან გაოგნებულ ინგლისელებს ბურთი „დავუმალეთ" და გავიმარჯვეთ კიდეც — 38:0.

მეორე მეტოქე ჰოლანდიის „ჰილვერსუმი" გახლდათ. აქ ერთ ფაქტზე გავამახვილებ ყურადღებას: ტურნირს მსოფლიოს 15 საუკეთესო მსაჯი ემსახურებოდა. ისინი ძალიან კვალიფიციურნი და მცოდნენი კი გახლდნენ, მაგრამ ადამიანურმა სისუსტემ სძლია და სულ იმის ცდაში იყვნენ, მასპინძლებს, ჰოლანდიელებს, დახმარებოდნენ. ვიცი, მსაჯთა კრიტიკა ცუდ ტონად ითვლება, მაგრამ, მერწმუნეთ, „ჰილვერსუმთან" მხოლოდ მათ გამო, დავმარცხდით — 12:18.

იტალიის „ლიბელულისთან" მეორე შემადგენლობა ვითამაშეთ და მაინც იოლად გავიმარჯვეთ — 24:0.

გვრჩებოდა ქვეჯგუფში გადამწყვეტი მატჩი ამ ტურნირის 10-გზის გამარჯვებულ „ლონდონ ნიუ ზილანდთან". ეტყობა, ჩვენი ბიჭების ემოციურმა ამაღლებამ, მსოფლიო რაგბის ლიდერის — ახალი ზელანდიის წარმომადგენლების დამარცხების სურვილმა და გამარჯვების ჟინმა ამ მომენტისთვის კულმინაციას მიაღწია და „ყოჩებმაც" ყველაფერში აჯობეს მეტოქეს — 18:0. ახალზელანდიელები იმდენად არ მოელოდნენ ასეთ შედეგს, რომ თამაშის შემდეგ მუშტი-კრივი აგვიტეხეს.

განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ზაზა ლეჟავამ, ვიქტორ დიდებულიძემ, გოჩა ბარძიმაშვილმა და მალხაზ ჰეიშვილმა. ჩვენი მოთამაშე-მწვრთნელი მალხაზ ჰეიშვილი გუნდის კაპიტანიც გახლდათ და მისმა რჩევა-დარიგებებმა და პირადმა მაგალითმა მნიშვნელოვნად განაპირობა „ყოჩების" წარმატება.

ქვეჯგუფებში ბრძოლის დამთავრების შემდეგ ტურნირი ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა. მეტოქედ უელსელები („პრეზიდენტები") შეგვხვდნენ. მათთან ვერაფერი გავაწყვეთ და დავმარცხდით. რას იზამ, „პრეზიდენტებში" უელსის ნაკრების სამი წევრი თამაშობდა, ოსტატობა და კლასი კი, მოგეხსენებათ, თავისას შვრება...

საბოლოოდ, ოცეულში მოვხვდით. სხვათა შორის, არც ერთი სტუდენტური გუნდი უკეთ არ გამოსულა. ამით ჩვენ საგაისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ.

ჩვენი გუნდის კარგი თამაშით დიდი რეკლამა გავუწიეთ ქართულ რაგბის — ტურნირმა ხომ ევროპის ყველა სარაგბო ქვეყნის წარმომადგენლები შეკრიბა. მატჩებს ფართოდ აშუქებდა პრესა და ტელევიზია. ჩვენით ყველა იყო დაინტერესებული. მათი თქმით, აღმოაჩინეს სრულიად უცნობი ქვეყანა, სადაც რაგბის კარგად თამაშობენ.

ერთ შემთხვევას გიამბობთ. ტურნირის მსვლელობისას შევამჩნიეთ, ერთი საშუალო ასაკის კაცი, რომელსაც უელსის ნაკრების მაისური ეცვა. ბოლო მატჩის შემდეგ იგი ჩვენთან მოვიდა, მოგვიწონა თამაში და გაგვეცნო. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა — იგი ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მორაგბე უელსელი მელი უილიამსი გამოდგა. უილიამსმა, რომელზეც ლეგენდები დადის, ჩვენი ბიჭები შეაქო.

საერთოდ, „რაგბის ვარსკვლავები" ცალკე საუბრის თემაა. მოგეხსენებათ, სპორტის არაერთ გამოჩენილ ოსტატს ჰირვეული ხასიათი აქვს. ამ ტურნირზე კი, სადაც ნამდვილი „ვარსკვლავთცვენა" გახლდათ, „დიდი მოთამაშეები" „ჩვეულებრივთ" არც ზემოდან დასცქეროდნენ და არც იბღინძებოდნენ. ყველა დიდ „სარაგბო ოჯახში" ცხოვრობდა, ერთმანეთს ძმური სიყვარულით და ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა.

სტადიონებზეც ვიტყვი. უნდა გენახათ, პატარა ჰოლანდიაში, სადაც მიწას ზღვას სტაცებენ, როგორი და რამდენი მოედანია. ტურნირიც ერთმანეთზე „მიწყობილ" ექვს სტადიონზე ტარდებოდა. ყველას ცალკე გასახდელი, სათავსოები და იდეალური გაზონი ჰქონდა. ბალახის საფარი ისეთია, წვიმიან ამინდშიც არ ცურდებოდა ფეხი. ასეთი მოედნის მომზადებას დიდი შრომა სჭირდება, მაგრამ, კაცმა თუ მოინდომა, შეუძლებელი არაფერია.

სხვათა შორის, ტურნირის ორგანიზატორებმა შემოგვთავაზეს, „ჰეინეკენის" სპონსორობით საქართველოში საშვიდკაცო ტურნირის გამართვა, ჩვენ ვერაფერი ვუთხარით, რადგან, სტადიონები, ფაქტობრივად, არ გვაქვს.

ტურნირის ორგანიზატორებმა ხუმრობად მიიღეს ის, რომ ჩვენი გუნდი გაპარტახებულ მოედანზე სამ გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ჩვენ კი, ჩვენი მოედნების შემყურეთ, რა გვეხუმრებოდა. შეუძლებელი მართლაც არაფერია და, თუ გვსურს, კარგი რაგბი ვითამაშოთ, კარგი სტადიონებიც უნდა ავაშენოთ.

ევროპის ყველა სარაგბო სკოლის ერთად ხილვისას დავრწმუნდით, რომ უკვე შეიძლება ლაპარაკი რაგბის ქართულ სტილზე. ჩვენს მორაგბეებს ბუნებრივი ნიჭი და ღონე აქვთ, ფინტიც იციან, პასიც, იმპროვიზების უნარიც შესწევთ შეტევისას. სამაგიეროდ, მოვიკოჭლებთ, სისწრაფეში, საერთო ფიზიკურ მომზადებაში, სირბილის კულტურასა და პოზიციურ დაცვაში. არც თანამედროვე რაგბის უმთავრეს ელემენტში — ეგრეთ წოდებულ გაშლილ თამაშში გვაქვს საქმე კარგად. უამისოდ კი, შეუძლებელია წარმატებაზე ფიქრი. სხვათა შორის, შვიდკაცა კარგად ავითარებს ამ ელემენტს. ასე რომ, საქმის გამოსწორება ადვილად შეიძლება.

აი, ასეთი გახლავთ მოგზაურობის შედეგები, შთაბეჭდილებები და მათგან გამომდინარე, ჩვენი დასკვნები. ორი აზრი არ არსებობს — მსგავსი კონტაქტები უკლებლივ ყველა ქართული გუნდისთვისაა აუცილებელი. ეს, რა თქმა უნდა, კარგად ვიცოდით, მაგრამ სულ სხვაა, როცა ცხადლივ დარწმუნდები. დიახ, ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი ჯობს.

დასასრულ, გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ჩვენს სპონსორებს — სტუ-ს სარაგბო კლუბს (პრეზიდენტი თ. ბაციკაძე), ასოციაცია „იყალთო XXI"-ს (პრეზიდენტი თ. გამცემლიძე), საწარმოო-სამშენებლო გაერთიანება „კომითს" (გენერალური დირექტორი მ. ზურაბაშვილი, დირექტორი თ. გოგიბერიძე), თბილმეურნეობის ვენტილაციისა და კონდიცირების სპეცგამმართველ სამმართველოს (უფროსი თ. ჰიჭინაძე). ისინი რომ არა, ჰოლანდიურ შთაბეჭდილებებს ვერ გაგიზიარებდით.

ესაუბრა **ნინო დვალი.**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

XVI ტური

„ქუთაისი" (ქუთაისი) — „მზიური" (გალი) 8:1 (2:0).

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 ივნისი.

„ქუთაისი": მ. თევზაძე, გ. თევზაძე, წიქარიშვილი, ბზიკაძე, შავგულიძე (შენგელია), ნადირაძე, ხუხიაშვილი, ხუნდაძე, ჯანაშია, დარახველია, ფაიქიძე (მანაგაძე).

„მზიური": მაკახარაშვილი, ლურწკაია, ფარფალია (ეთერია), პავლიჩუკი, ჩაიკა, კვეკვესკირი (მეტრეველი), კაკუბავა, მორგოშია, ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.

მსაჯები: ლ. ჩიტაია, გ. ხეჩუაშვილი, დ. თოდუა (სამივე — თბილისი).

გოლები: ჯანაშია-2, მანაგაძე; ხარჩილავა.

გააფრთხილეს მ. მორგოშია.

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „სანავარდო" (სამტრედია) 1:1 (0:0).

ფოთი. ცენტრალური სტადიონი. 10 ივნისი.

„კოლხეთი-1913": მიქავა, ქუნთელია (გენძეხაძე), კაკაჩია, გიორგაძე, გოგატაძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე, ბაჯალაძე (ტორჩინავა), თვარაძე, ქობალია.

„სანავარდო": გამყრელიძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, გეგეშიძე, დავით თვალაბეიშვილი, ლორთქიფანიძე, რუხაძე, მეხიაჩენკო, ტონია, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ბ. ბრეგვაძე.

მსაჯები: ხ. კვარაცხელია, (ზუგდიდი), ი. შალამბერიძე (თბილისი), გ. ახკარ ოღლი (ქარელი).

გოლები: ქობალია, დურმიშხან თვალაბეიშვილი.

გააფრთხილეს: მ. შამათავა, ბ. ბრეგვაძე, დავით თვალაბეიშვილი.

„ალაზანი" (გურჯაანი) — „სულორი" (ვანი) 7:1 (3:0).

გურჯაანი. ცენტრალური სტადიონი. 10 ივნისი.

„ალაზანი": ჭუნიაშვილი (მალისოვი), შუბითიძე, კევლიშვილი, ხანადირაძე, ძნელაძე (აბულაძე), სპანდერაშვილი, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, ხოლოღაშვილი (ბარნაბიშვილი), თეთრაული, კობახიძე.

„სულორი": ერემეიშვილი, ძაგნიძე, გ. ვერულაშვილი, არველაძე, გიზო ბრეგვაძე, კ. დვალიშვილი, პაიკიძე, ნ. დვალიშვილი, ხურცილავა, ჯ. ვერულაშვილი, გოჩა ბრეგვაძე.

მსაჯები: ე. ხილაგავა, ტ. ნიშნიანიძე (ორივე—თბილისი), მ. აბაიაძე (გორი).

გოლები: ზაალიშვილი-2, თეთრაული-2, კევლიშვილი, ბაწაშვილი, კობახიძე, პაიკიძე.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

„სექსის" ყელიანი წინდებით და ფრანგული მაკიაჟით

იცანით ეს მხიარული ქალბატონი? გაიხსენეთ, გაიხსენეთ, თქვენ მას მშვენივრად იცნობთ. რაო? არა გყავთ ასეთი ნაცნობი? ცდებით.

თუმცა, განთქმული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა, ამ სურათებზე კი სწორედ ისაა აღბეჭდილი, არა მარტო ბურთის ფლობის დიდი ოსტატია, არამედ სხვადასხვაგვარი მისტიფიკაციისა და მოულოდნელობებისა. მას შეუძლია ხელით გაიტანოს ბურთი და გოლს ჩათვლიან. შეუძლია გამოგეცხადოთ ქალის ტანსაცმელში, როგორც ერთ-ერთ საღამოს წვეულებაში მშობლიურ ბუენოს-აირესში, — და ბევრნი სულ იოლად შეცდებიან.

სულ ახლახან კი გამოირკვა, რომ დიეგოს მთელი ცხოვრება და საფეხბურთო კერპის შარავანდედი, თურმე, მნიშვნელოვანწილად მისტიფიკაცია ყოფილა. რედაქცია უახლოეს ნომერში გამოაქვეყნებს მასალას მარადონაზე, სწორედ ისეთ მარადონაზე, რომელსაც, ალბათ, სულ რამდენიმე კაცი თუ იცნობდა.

„სოვეტსკი სპორტის" დამატება „პლუს 8", № 1, 1991 წლის ივნისი.

ნამდვილი ირლანდიური შეუპოვრობით

ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის დაწყების წინ მიმომხილველები ბევრს წერდნენ ფავორიტებზე. აქ აზრთა გარკვეული სხვაობა იყო. იმაზე კი არავინ დაობდა, ვინ იყო 8 ფინალისტს შორის ყველაზე უფრო სუსტი — რა თქმა უნდა, ირლანდიის ნაკრები — ასე მიიჩნევდნენ ექსპერტები. უცნაური კი ის გახლდათ, რომ ირლანდიელთა მწვრთნელი, ახლო წარსულში კარგად ცნობილი ინგლისელი ოსტატი ჯეკი ჩარლტონი არ გამორიცხავდა მისი გუნდის მიერ... ევროპის ჩემპიონობის მოპოვებას! „ინგლისი-ირლანდია: აი, ყველაზე უფრო შესაძლებელი ფინალური მატჩი" — მართალია, ჩარლტონის ეს სიტყვები არ გამართლდა (ისე კი ირლანდიელებმა სძლიეს ინგლისელებს — 1:0), მაგრამ ცხადი გახდა, რომ ჩარლტონს მართლაც შესანიშნავი გუნდი ჰყავდა. სხვა თუ არაფერი, წევრი გუნდი ვერ დაიკვეხნიდა ჯონ ოლდრიჯისთანა ცენტრფორვარდს. მას შემდეგ თითქმის სამი წელი გავიდა, „ოლდი" კი კვლავ რჩება ირლანდიელების იმედად.

ჯონ ოლდრიჯის საფეხბურთო გზა ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა, მაგრამ მას ნამდვილად უშველა ირლანდიურმა შეუპოვრობამ. მას თითოეული მარცხიდან სათანადო დასკვნები გამოჰქონდა, მწვრთნელები და ჭკუის დამრიგებლები კი არასოდეს აკლდა.

ოლდრიჯი 1958 წლის 18 ოქტომბერს დაიბადა, ლივერპულის ერთ-ერთ გარეუბანში, რომელსაც ირლანდიელთა უბანს ეძახიან. ნიშანდობლივია ერთი გარემოება — ყველა, დიდსა თუ პატარა წარმატებას ოლდრიჯი სხვა ცნობილ ფეხბურთელებზე გვიან აღწევდა: სიჭაბუკეში ლივერპულის ერთ-ერთი სამოყვარულო გუნდში გამოდიოდა. ამ ქალაქს, როგორც ცნობილია, ორი განთქმული კლუბი — „ლივერპული" და „ევერტონი" ჰყავს. ოლდრიჯს მათ ვინ მიაკარებდა, თუმცა ცხადია, თამაშებს არ აცდენდა და ბევრ რამეს სწავლობდა. 20 წლის მოთამაშეს, უმრავლეს შემთხვევაში, კარგად იცნობს ფეხბურთის სამყარო, ოლდრიჯმა კი სწორედ ამ ასაკში დაიწყო თამაში ინგლისის მესამე ლიგის კლუბ „ნიუპორტ ქოუნთიში". აქ მან 6 წელი გაატარა, 170 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 69 გოლი გაიტანა. ეს შედეგი მესამე ლიგისთვის ურიგო არ იყო, მაგრამ ოლდრიჯით ინგლისის არც ერთი ძლიერი კლუბი არ დაინტერესებულა. შეუპოვარ ირლანდიელს კი სულაც არ აძლევდა ხელს მესამე ლიგის სნაიპერად დარჩენა. ამიტომ მან 1984 წელს სიამოვნებით მიიღო მეორე ლიგის კლუბ „ოქსფორდ იუნაიტედის" მიწვევა. ეს ქალაქი ინგლისში მარტო უნივერსიტეტით როდია ცნობილი — ოქსფორდს მდიდარი სპორტული ტრადიციები აქვს. „ოქსფორდ იუნაიტედმა" მიზნად დაისახა პირველ ლიგაში გადასვლა. მისი ხელმძღვანელები ფულს არ იშურებდნენ და რამდენიმე ძლიერი ოსტატი მიიწვიეს. მათგან ყველაზე მეტად „ოქსფორდს" ჯონ ოლდრიჯი გამოადგა. მან თავის ახალ კლუბში 114 მატჩი გამართა და 72 ბურთი გაიტანა. „ოქსფორდ იუნაიტედი" ირლანდიელი სნაიპერის ხელშეწყობით პირველ ლიგაში გადავიდა.

„ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!" — 23 წლის ასაკში ოლდრიჯმა ორ წარმატებას მიაღწია: ირლანდიის ნაკრებში მიიწვიეს და პირველი ლიგის მოთამაშეც გახდა. მართლაცდა ძნელი დასაჯერებელია, რომ ცენტრფორვარდი ასეთ ასაკში იწყებდეს თავის ნამდვილ საფეხბურთო კარიერას. მრავალი წლის განშორების შემდეგ ოლდრიჯი დაუბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქს — „ლივერპულისაგან" მიიღო მიწვევა, ეს ასე მოხდა: ცნობილმა სნაიპერმა იან რაშმა „ლივერპულის" ხელმძღვანელობას კატეგორიულად განუცხადა, რომ, რაც არ უნდა აღუთქვათ, ამ კლუბში დამრჩენი აღარ იყო. თანაც ტურინის „იუვენტუსმა" ინგლისელებს ამ ფეხბურთელში შესთავაზა მართლაც რომ ასტრონომიური თანხა, რომლითაც „ლივერპულს" რამდენიმე მოთამაშის ყიდვა შეეძლო. გარიგებაც შედგა.

„ლივერპულის" ცნობილი მოთამაშე-მწვრთნელი კენი დალგლიში, რაშის განდგომით განაწყენებული, იხტიბარს არ იტეხდა — „ლივერპული" უფრო მალე დაივიწყებს რაშს, ვიდრე ზოგიერთები ფიქრობენო. როცა ამას ამბობდა, დალგლიში ოლდრიჯს გულისხმობდა, რომელმაც დაუყოვნებლივ დაიკავა რაშის ადგილი. ლივერპულელმა გულშემატკივრებმა მართლაც ძალიან მალე აღიარეს ახალი სნაიპერის ღირსებები. ან კი როგორ არ აღიარებდნენ, როცა ოლდრიჯს თითქმის ყველა თამაშში გოლი გაჰქონდა, „ლივერპულის" საკლუბო რეკორდიც მოხსნა — ზედიზედ 11 კალენდარულ მატჩში გაიტანა ბურთი. ასეთი შედეგისთვის რაშსაც არ მიუღწევია.

წლები გადის, ოლდრიჯს კი ძველებურად გააქვს გოლები. ევროპის 1988 წლის პირველობას მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი მოჰყვა. აქ ოლდრიჯმა ხუთი მატჩი ითამაშა, მისი გუნდი კი მეოთხედფინალამდე მივიდა, რაც, ცხადია, უდავო წარმატება იყო. ახლა, როცა ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩები მიმდინარეობს, ირლანდიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი კვლავ და კვლავ ჯონ ოლდრიჯია.

ზიზი თორაძე

ფინ, ბრაზილია!

კანადაში. მონრეალის ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე, გაიმართა მსოფლიოს 42-ე ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი „ფორმულა-1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში.

მანამდე, მაისში, ბევრი რამ მოხდა ისეთი, რაც ყურადღებას იმსახურებს. მონაკოში შეჯიბრების წინ, ერთმა ანონიმმა „მაკლარენის“ ხელმძღვანელობას ტელეფონით შეატყობინა, რომ აირტონ სენასთვის განკუთვნილი სატვირთო ავტომობილი დანაღმული იყო. საბედნიეროდ, ეს ამბავი ტყუილი გამოდგა. თვით შეჯიბრების დროს, საათში 150 კილომეტრი სიჩქარით მრბოლ ბრაზილიელ პილოტს წინ ერთ-ერთმა ავტოდრომის მომსახურემ გადაურბინა და, სენას მოხერხება რომ არა, შეიძლება 1977 წელს „კიალამიზე“ მომხდარი უბედური შემთხვევა განმეორებულიყო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში ოთხი სუსტად ჩატარებული ეტაპის შემდეგ ცვლილება მოხდა „ფერარის“ გუნდში. სპორტული დირექტორის პოსტიდან გადადგა ჩეზარე ფიორიო — იგი დაუბრუნდა „ლანჩა მარტინის“ რალის გუნდს. მისი ადგილი დაიკავა ენცო ფერარის შვილობილმა, „ფერარის“ ვიცე-პრეზიდენტმა პიერო ლარდი-ფერარიმ. მასთან ერთად, გუნდს სათავეში ჩაუდგა ინჟინერი კლაუდიო ლომბარდი, „ლანჩა მარტინის“ ყოფილი პასუხისმგებელი პირი, ხოლო „ფერარის“ ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა გუნდის ყოფილი კონსტრუქტორი მარკო პიჩინინი.

კანადაში გამგზავრების წინ ქალაქ ბრეშიაში ავტოკატასტროფაში მოჰყვა „ფუტუერკ-პორშეს“ პილოტი ალექს კაფი. იგი თვითონ არ მართავდა „სააბის“ ფირმის ავტომობილს. ექიმებმა მას ორი თვით აუკრძალეს ასპარეზობებში მონაწილეობა და კანადის „გრან პრის“ გათამაშებაში იგი შვედმა სტეფან იოჰანსონმა შეცვალა.

„ლოტუსიდან“ წავიდა ჯულიან ბეილი. ფიქრობენ, რომ მას „იაგუარი“ მიიწვევს სპორტული ავტომობილებით რბოლაში. მისი ადგილი დაიკავა და გუნდში წლის ბოლომდე დარჩება ჯონი ჰერბერტი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ოთხი საკვალიფიკაციო რბოლისა და ოთხი „გრან პრის“ ზედიზედ მოგების შემდეგ მსოფლიოს ორგზის (1988, 1990 წ.წ.) ჩემპიონმა, ბრაზილიელმა აირტონ სენამ „შეისვენა“ და სტარტი მეორე რიგიდან აიღო. „უილიამს-რენოს“ გუნდი კარგად მოემზადა შეჯიბრებისთვის და შედეგიც შესაბამისი იყო. პარასკევს საწვრთნელი რბოლა ნაიჯელ მენსელმა მოიგო, ხოლო შაბათს მისმა თანაგუნდელმა — რიკარდო პატრეზემ.

სტარტი ერთდროულად აიღეს პატრეზემ და მენსელმა, მაგრამ ინგლისელმა პილოტმა თანაგუნდელს გზა მოუჭრა და დაწინაურდა.

საერთოდ, წლევანდელი სეზონი ამ ორი სპორტსმენის „კინკლაობით“ დაიწყო. გახსოვთ ალბათ, „ფინიშზე“ როგორ შეუშალეს მათ ერთმანეთს ხელი და ორივე გამოეთიშა ასპარეზობას.

კანადაში დასაწყისშივე გამოეთიშნენ რბოლას აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა“) და ალან პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“). იაპონელი აუგური სუძუკის „ლოლა-კოსუორტს“ ცეცხლი მოედო და მეხანძრის როლში... თვით პილოტი აღმოჩნდა.

ამასობაში წინ მიიწევდა ნაიჯელ მენსელი და ვერავინ დაეწეოდა მას, რომ არა კვლავ სიჩქარეების გადაცემათა ნახევრადავტომატური კოლოფის მწყობრიდან გამოსვლა ბოლო წრეზე. ემოციურმა პილოტმა ძალზე განიცადა ეს შემთხვევა. ნელსონ პიკემ (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) კი, ისევე როგორც 1987 წელს უნგრეთის „გრან პრის“ გათამაშებაში, დიდი სიამოვნებით მიიღო ინგლისელი მეტოქის მიერ მირთმეული „საჩუქარი“ და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ამ გამარჯვებას მთელი გუნდი ზეიმობდა.

ნელსონ პიკესთვის ეს იყო 23-ე „გრან პრი“. პირველი წლევანდელ სეზონში, მესამე კანადაში (1982, 1984, 1991 წ.წ.) და მესამე „ბენეტონის“ საჭესთან.

ნაიჯელ მენსელმა ტრასის რეკორდი (მე-18) დაამყარა — 1 წუთი, 22,385 წამი; საშუალო სიჩქარე — საათში 193,579 კილომეტრი.

რბოლის საბოლოო შედეგი:

1. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) — 10 ქულა; 2. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტაირელ-ჰონდა“) — 6; 3. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო“) — 4; 4. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია) — 3; 5. ბერტრან გაშო (ბელგია)— 2 (ორივე —„ჯორდან-ფორდი“); 6. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „უილიამს-რენო“) — 1.

როგორც [illegible] „ფერარი“ კვლავ დამარცხდა. სამაგიეროდ, კარგად [illegible]: მოდენამ, პატრეზემ და დე ჩეზარისმა. საერთოდ, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა, ედი ჯორდანის გუნდმა წინასაკვალიფიკაციო, საკვალიფიკაციო და თვით „გრან პრის“ გათამაშებაც მაღალ დონეზე ჩაატარა.

მდგომარეობა 5 ეტაპის შემდეგ (პირადი ჩათვლა და კონსტრუქტორთა პირველობა):

1. აირტონ სენა — 40 ქულა; 2. ნელსონ პიკე — 16; 3. ალენ პროსტი — 11; 4-5. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა“); რიკარდო პატრეზე — 10-10; 6. სტეფანო მოდენა — 9; 7. ნაიჯელ მენსელი — 7; 8. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 5; 9. ირკი იარვილეჰტო (ფინეთი, „დალარა-ჯადი“) — 4; 10-12. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი-ფერარი“), რობერტო მორენო (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“), ანდრეა დე ჩეზარისი — 3-3; 13-15. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია, „ტაირელ-ჰონდა“), მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუს-ჯადი“). ბერტრან გაშო — 2-2; 16-18. აუგური სუძუკი, ჯულიან ბეილი (ინგლისი, „ლოტუს-ჯადი“), ემანუელე პირო (იტალია, „დალარა-ჯადი“) — თითო ქულა.

1. „მაკლარენი“ — 50; 2. „ბენეტონი“ — 19; 3. „უილიამსი“ — 17; „ფერარი“ — 16; 5. „ტაირელი“ — 11; 6-7. „დალარა“, „ჯორდანი“ — 5-5; 8-9. „მინარდი“, „ლოტუსი“ — 3-3; 10. „ლოლა“ — 1 ქულა.

მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი გაიმართება მექსიკაში 16 ივნისს.

დავით ჩუბინიძე

Marlboro
8
HERCULES
HERCULES
UNIPART

სტარტის წინ...

ვინ მტყუანი...

ამას წინათ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) საკმაოდ მკაცრი სასჯელი დაადო ორ ამერიკელ სპორტსმენს — მსოფლიო რეკორდსმენებს: ბირთვისმკვრელ რენდი ბარნსასა და 400 მეტრზე მორბენალ ბატჩ რეინოლდსს, რომლებიც ორი წლით დისკვალიფიცირებულნი არიან. ანაბოლიური სტეროიდების ხმარებისათვის, რაც ცხადყო დოპინგ-კონტროლმა. ამის გამო ორივეს გადაწყვეტილი აქვს აპელაციის შეტანა, რადგან დისკვალიფიკაცია მათ ბარსელონის ოლიმპიადაზე მონაწილეობასაც უკრძალავს.

წარმოიდგინეთ, სავსებით მოსალოდნელია დოპინგ-კონტროლის შედეგის გაუქმება. საქმე ისაა, რომ რეინოლდსისგან აღებული სტეროიდის სინჯის დალუქვას სპორტსმენი არ დასწრებია, რაც იააფ-ის წესდების დარღვევა გახლავთ. გარდა ამისა, საკონტროლო ციფრები სინჯზე მოგვიანებითაა დასმული, ეს კი ჩრდილს აყენებს ანტისადოპინგო კონტროლის მთელ სისტემას.

მალმეში (შვეცია) ჩატარებულ შეჯიბრების შემდეგ ანალიზით დადგინდა, რომ ბარნსს მიღებული ჰქონდა მეთილტესტოსტერონის სტეროიდული პრეპარატი, ანალიზმა კი მის ორგანიზმში ნანდროლონი აღმოაჩინა.

ორივე სპორტსმენმა განმეორებით დოპინგ-კონტროლი გაიარა და სინჯებმა დადებითი შედეგი „გამოიღო“. მიუხედავად იმისა, რომ ბარნსი და რეინოლდი კატეგორიულად უარყოფენ მათ მიერ სტეროიდული პრეპარატების მიღებას, იააფ-ის სადოპინგო კომისიის თავმჯდომარე ანდრე ლიუნგკვისტი შეუვალია და ამტკიცებს — „დიახ, ისინი სარგებლობენ სტეროიდებით. ეს უდავოა“.

ისე კი, დოპინგის ხმარებისათვის დისკვალიფიცირებულ ამერიკელ მძლეოსანთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა: რაკელ ენდრიუსი (სიგრძეზე ხტომა, სამხტომი), რენდი ბარნსი (ბირთვის კვრა), ვილი კოდაუალი (400 მ), ტონ ხიუმინიუკი (ბირთვი), ჰენრი მარში (წინაღობებით რბენა), ლარი მირქსი (სიგრძე), გრეგ მოზესი (სპრინტი), ბატჩ რეინოლდსი (400 მ.), მარკ როუვი (400 მ), მაიკ შტალკე (ბირთვი).

მირქსი დისკვალიფიცირებულია სამუდამოდ (თუმცა მან აპელაცია შეიტანა), დანარჩენებს 2-2 წელი „მიუსაჯეს“.

მატჩის წესები შეიცვლება

ნიუ-იორკის გაზეთმა „ნოვოე რუსსკოე სლოვომ“ გამოაქვეყნა საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების მრავალგზის ჩემპიონთან, დიდოსტატ ლევ ალბურტთან. აი, ზოგიერთი ფრაგმენტი ამ ინტერვიუდან.

● **შესაძლოა თუ არა, რომ მატჩი მსოფლიო პირველობაზე 1993 წელს გაიმართოს ნიუ-იორკში?**

— ეს ჯერ გარკვეული არ არის. ისე, უფრო სავარაუდოა, ლოს-ანჯელესში ან სან-ფრანცისკოში. ნიუ-იორკს მხოლოდ მაშინ ექნება ამის შანსი, თუ სხვა პრეტენდენტ ქალაქებზე მეტ თანხას გაიღებს. 1993 წელს მატჩის პირობებიც გარკვეულად შეიცვლება. ცვლილებათა მიზანი ნათელია — გახდეს მატჩი უფრო დინამიური, მიიზიდოს მეტი გულშემატკივარი. უპირველეს ყოვლისა, შემცირდება გადადებული პარტიების რაოდენობა, გაუქმდება ტაიმ-აუტები, შემცირდება მატჩის პარტიების რაოდენობაც — სავარაუდოდ, 24-დან 20-მდე. გადადებული პარტიები, მცირედის გამოკლებით, უდავოდ გაქრება. მოსალოდნელია, რომ სამი წლის შემდეგ შეიქმნება კომპიუტერები, რომლებიც გადადებულ პოზიციებს უძლიერესი მოჭადრაკეების დონეზე გაარჩევენ. როცა პარტიების გადადება აიკრძალება, მეტოქენი, ცხადია, კომპიუტერებით ველარ ისარგებლებენ. წესების შეცვლის მომხრენი არიან კასპაროვიც, კარპოვიც, ფიდე-ს პრეზიდენტი კამპომანესიც.

● **კასპაროვსა და ამ ორს შორის ზავი თუ ჩამოვარდა?**

— ახალი კონფლიქტი აღარ მომხდარა. კარპოვი უწინდებურად პირქუში აღარ არის, თავაზიანი გახდა. იგი დარწმუნდა, რომ კასპაროვი და სხვა უძლიერესი დიდოსტატები ფიდე-ს გარეშეც მშვენივრად გრძნობენ თავს. კარპოვისთვის კონფლიქტებს აზრი აღარა აქვს.

● **თქვენი აზრით, კასპაროვი შემდგომშიც არა მარტო ჭადრაკით იქნება დაკავებული?**

— ვფიქრობ, ასე იქნება, იგი სხვა საქმეებსაც შეეჭიდება. ახალ მატჩამდე ხომ ჯერ დიდი დროა.

● **უკანასკნელი კითხვა „კორლოფის“ პრიზის თაობაზე, რომელიც კასპაროვმა მიიღო...**

— ეს პრიზი ცნობილმა საიუველირო ფირმა „კორლოფმა“ დააწესა კასპაროვ-კარპოვის მატჩში გამარჯვებულისთვის. იგი ოქროსა და პლატინისაგან არის ჩამოსხმული, ათასხუთასი თეთრი და შავი ბრილიანტითაა მოოჭვილი. ეს პრიზი, როგორც ამბობენ, ღირს არა მილიონი, არამედ, ზოგის აზრით, 300 ათასი დოლარი. რამდენს გაიღებენ მასში აუქციონზე, ძნელი სათქმელია. ვინ იცის, შეიძლება მართლაც მილიონი დოლარი გადაიხადონ. მყიდველი იმიტომაც არ მოერიდება მილიონის გადახდას, რომ ეს მსოფლიო ჩემპიონის პრიზია. ამ თანხით კასპაროვი სომხებისთვის დახმარების ფონდს შექმნის, კერძოდ, მათთვის, ვინც ბაქოდან გაიქცა...

ინფორმაცია

● ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებიდან, რომელიც 1990 წელს გამოდიოდა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში, ქვეყნის ახალ ნაკრებში შეყვანილია მხოლოდ ექვსი მოთამაშე, დანარჩენები ახალბედები არიან. ეს გუნდი მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ ამერიკის მომავალ საფეხბურთო ჩემპიონატში, რომელიც ივლისში გაიმართება ჩილეში.

ბრაზილიელთა მწვრთნელმა რობერტო ფალკაომ სხვადასხვა მიზეზით უარი თქვა ისეთ ცნობილ ოსტატებზე, როგორებიც არიან თავდამსხმელები —კარეკა და რომარიო, ნახევარმცველები — სილასი, ალემაო და დუნგა, მცველები — ალდაირი, მოზერი, რიკარდო, გომესი და სხვანი.

ბრაზილიის ახალ ნაკრებში 22 ფეხბურთელია. მათგან 17 ამ ქვეყნის კლუბებში გამოდის.

● იაპონელებს დიდი სურვილი აქვთ უმასპინძლონ 2002 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატს. ამიტომაც, უკვე შექმნეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც ამ საქმეს უნდა უხელმძღვანელოს. კომიტეტის თავმჯდომარეა იაპონიის კომპანია „ნისანის“ პრეზიდენტი ტაკაში იშიხარა.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა თავის გენერალურ ასამბლეაზე უნდა დაასახელოს 1996 წლის ივნისში.

„სპორტპროგნოზი“: 25-ე ტირაჟის პროგრამა (21-23 ივნისი)

		პროგნოზი			
სსრკ. ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა), ცენტრალური ზონა).					
1. „ზენიტი“ (იჟევსკი) — „კამაზი“ (ნაბერეჟნიე ჩელნი)	21.VI	40	50	10	1
2. „ასმარალი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (რიაზანი)	21.VI	80	10	10	1
3. „ვოლგა“ (ტვერი) — „ტორპედო“ (ვლადიმირი)	21.VI	30	60	10	2
4. „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „დინამო“ (ბრიანსკი)	21.VI	40	50	10	2
5. აპკ (აზოვი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი)	21.VI	30	30	40	1
6. „არარატი-2“ (ერევანი) — „გასტელო“ (უფა)	21.VI	60	30	10	X
7. ფსკ „ლორი“ (კიროვაკანი) — „ზვეზდა“ (პერმი)	21.VI	60	20	20	1
8. „სტარტი“ (ულიანოვსკი) — „ნარტი“ (ჩერკესკი)	21.VI	70	20	10	1
9. „სოკოლი“ (სარატოვი) — „ტერეკი“ (გროზნო)	21.VI	40	40	20	2
10. „კრილია სოვეტოვი“ (სამარა) — „ცემენტი“ (ნოვოსიბირსკი)	21.VI	80	10	10	X
11. „ლადა“ (ტოლიატი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი)	21.VI	80	10	10	X
სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)					
12. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „შახტიორი“ (დონეცკი)	23.VI	80	10	10	2
სსრკ თასის ფინალი ფეხბურთში					
13. ცსკა — „ტორპედო“ (მოსკოვი)	23.VI	60	10	20	2

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1991 წლის 22-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.972.694 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (17) მოგება 2.914 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (506) — 195, 11 შედეგის გამოცნობისთვის (5. 192) — 66.

საქართველოში: დაშვებულია 97.662 ვარიანტი. 13-1, 12-13, 11-146.

22-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 22 ივნისიდან 22 ივლისის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

23-ე ტირაჟის შედეგები

(7-9 ივნისი)

1—1, 2—X, 3—X, 4—1, 5—2, 6—1, 7—1, 8—X, 9—2, 10—1, 11—1, 12—1, 13—X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისის „შევარდენის“ სტადიონი
(ბ. ხმელნიცკის ქ. № 40).

14 ივნისი ● ფეხბურთი

ეროვნული ჩემპიონატი
(უმაღლესი ჯგუფი)

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი)

დასაწყისი 18 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

ქუთაისის სპორტული საზოგადოებრიობა, საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი ქუთაისელი ფეხბურთელი.

ტიხონ იოსების ძე ბერაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე. კორექტორები: მ. ძუძამიძე, ე. ზომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-85
[illegible] — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„[illegible]“ — 93-97-26, „[illegible]“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. [illegible]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20